GRASS
REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 381
თარიღი: 7 10 2014 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

MINISTRY OF CORRECTIONS OF GEORGIA

MCLA 4 14 00508236

01/10/2014

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)"
დირექტორს, ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოგიდგენთ თქვენს მიერ 2014 წლის 24 სექტემბერს N488984 წერილით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას პუნქტების მიხედვით.
ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო 2010 წლამდე სტატისტიკას არ აწარმოებდა. შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა მოიცავს 2010-2014 წლების მონაცემებს.

1. პატიმრების რაოდენობა 2003 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით);

2010 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) - 23 684 ბრალდებული/მსჯავრდებული.
მათ შორის:
სრულწლოვანი კაცი - 22 307 ბრალდებული/მსჯავრდებული; სრულწლოვანი ქალი - 1 171 ბრალდებული/მსჯავრდებული; არასრულწლოვანი კაცი - 203 ბრალდებული/მსჯავრდებული; არასრულწლოვანი ქალი - 3 ბრალდებული/მსჯავრდებული.
2011 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) - 24 114 ბრალდებული/მსჯავრდებული.
მათ შორის:
სრულწლოვანი კაცი - 22 724 ბრალდებული/მსჯავრდებული; სრულწლოვანი ქალი - 1 213 ბრალდებული/მსჯავრდებული; არასრულწლოვანი კაცი - 175 ბრალდებული/მსჯავრდებული; არასრულწლოვანი ქალი - 2 ბრალდებული/მსჯავრდებული.
2012 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) - 19 349 ბრალდებული/მსჯავრდებული.
მათ შორის:
სრულწლოვანი კაცი - 18 301 ბრალდებული/მსჯავრდებული; სრულწლოვანი ქალი - 925 ბრალდებული/მსჯავრდებული; არასრულწლოვანი კაცი - 122 ბრალდებული/მსჯავრდებული; არასრულწლოვანი ქალი - 1 ბრალდებული/მსჯავრდებული.
2013 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) - 9 093 ბრალდებული/მსჯავრდებული.
მათ შორის:

2. 2003 – 2013 წლებში პატიმრების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

სრულწლოვანი კაცი - 8768 ბრალდებული/მსჯავრდებული;
სრულწლოვანი ქალი - 250 ბრალდებული/მსჯავრდებული;
არასრულწლოვანი კაცი - 75 ბრალდებული/მსჯავრდებული;
არასრულწლოვანი ქალი - 0 ბრალდებული/მსჯავრდებული.

3. გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობა 2003 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით):

2010 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) – 144 გარდაცვალების ფაქტი;
2011 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) – 140 გარდაცვალების ფაქტი;
2012 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) – 67 გარდაცვალების ფაქტი;
2013 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) – 25 გარდაცვალების ფაქტი;
2014 წელს (28 სექტემბრის მდგომარეობით) - 18 გარდაცვალების ფაქტი.

4. რამდენი პატიმარი გახდა სუიციდის მსხვერპლი 2003 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით):

2010 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) - 5 სუიციდის ფაქტი;
2011 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) - 6 სუიციდის ფაქტი;
2012 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) - 4 სუიციდის ფაქტი;
2013 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) - 6 სუიციდის ფაქტი;
2014 წელს (28 სექტემბრის მდგომარეობით) - 4 სუიციდის ფაქტი.

5. რამდენმა პატიმარმა მიიღო მძიმე ტრავმები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2003 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით):

მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლიდან ყველა დაწესებულებაში არსებობს ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი, მძიმე ტრავმების შესახებ მონაცემები განცალკევებით არ აღირიცხებოდა. ომბუდსმენის ანგარიშებშიც არაერთხელ არის გამოთქმული შენიშვნა ტრავმებისა და დაზიანებების სტანდარტული პროტოკოლის არგამოყენების და შემთხვევათა არასათანადო რეგისტრაციის გამო. 2013 წელს ჯამურად სასჯელაღსრულების სისტემაში აღრიცხული იქნა 3251 ტრავმა და თვითდაზიანება.
დამატებით გაცნობებთ, რომ 2013-2014 წლებში, სამოქალაქო კლინიკებში 8500-ზე მეტი პატიმრის სამედიცინო გამოკვლევების შედეგად, იდენტიფიცირებულია 1087-ზე მეტი ხანდაზმული მძიმე დაზიანება და თანმდევი პათოლოგიები.

6. რამდენი პატიმარი იქნა ინფიცირებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში „C ჰეპატიტით“ 2003 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით):

2013 წლამდე C ჰეპატიტის ინფექციაზე სასჯელაღსრულების სისტემაში სკრინინგი არც პატიმრის მიღებისას და არც შემდგომ არ ტარდებოდა. დიაგნოსტიკა და მკურნალობა კი იყო უკიდურესად შეზღუდული, რის გამოც საქართველოს სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წაგებული აქვს 4 საქმე.

2013 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პენიტენციურ სისტემაში დაიწყო C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში ნებაყოფლობითი სკრინინგი უკვე ჩაუტარდა 5038 ადამიანს და მიღებული მონაცემებით ინფექციის გავრცელების მაჩვენებელი 49%-ია. სკრინინგის შედეგები ცხადყოფს, რომ პროგრამის დაწყებამდე პატიმრების 45-50% დაინფიცირებული იყო C ჰეპატიტის ვირუსით. სკრინინგი გრძელდება.

7. რამდენი პატიმარი გახდა ნარკოდამოკიდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 2003 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით):

მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი პატიმარი გახდა ნარკოდამოკიდებული სასჯელაღსრულების სისტემაში - არ არის აღრიცხული. 2013 წელს გაკეთდა პენიტენციურ სისტემაში წამალდამოკიდებულების პრობლემის პირველი შეფასება, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ 1641 პატიმარი იყო დამოკიდებული ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე წარსულში მათი ავადმოხმარების გამო. აქტიური კამპანიის დაწყების შედეგად, რომელიც მიწოდებისა და მოთხოვნის შემცირებას ისახავდა მიზნად, აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წლისთვის 703-მდე შემცირდა.

8. რა თანხა იყო გამოყოფილი პატიმრების ჯანდაცვაზე 2003 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით):

პენიტენციური ჯანდაცვის ბიუჯეტის შესახებ დაზუსტებული მონაცემები მოიპოვება მხოლოდ 2010 წლიდან:

2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი
5 384 156	5 858 213	7 187 201	10 967 902	14 936 400

9. რა თანხას შეადგენდა მკურნალობის დანახარჯი თითო პატიმარზე 2003 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით):
აღნიშნული მონაცემი გაგვაჩნია 2010 წლიდან. ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯი ერთ სულზე (PPP) სასჯელაღსრულების სისტემაში (მოიცავს პრევენციულ, სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და ფარმაცევტულ დანახარჯებს) შეადგენს:

2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი
237	243	317	1 097

ლარი/წწ/სულზელარი/წწ/სულზელარი/წწ/სულზელარი/წწ/სულზე

10. როდიდან ამოქმედდა სუიციდის პრევენციის პროგრამა და რამდენმა პატიმარმა გაიარა აღნიშნული პროგრამა დღეის მონაცემებით:

სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება დაიწყო 2014 წლის იანვრიდან. ამ მომენტისთვის პროგრამაში 80 სუიციდისკენ მიდრეკილი პატიმარი იქნა ჩართული, აქედან 71 ზრდასრული და 9 არასრულწლოვანი. პროგრამა ფუნქციონირებს სასჯელაღსრულების ხუთ დაწესებულებაში. პროგრამის მონაწილეთა შორის 2014 წ. იანვრიდან ამ მომენტამდე

ადგილი ჰქონდა სუიციდის განმეორებითი მცდელობის შვიდ შემთხვევას, ხოლო დასრულებული სუიციდის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

პატივისცემით,

ნანა ბღარაშვილი
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი